სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების (№104/01-01, 06.07.2015) საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№11/2016, 10.02.2016) დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი სხდომის

ოქმი №7

ქ. თბილისი 04 მარტი, 2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორი ე. მექვაბიშვილი (თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი ნ. კაკულია, (თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი (მდივანი), ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ლ. კოზმანაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ლაზარაშვილი. კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი თან ერთვის ოქმს (იხ. დანართი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

პროფესორი ე. მექვაბიშვილი

მოისმინეს: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ასოცირებული პროფესორების - თეორიული ეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული) და ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული) - ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ ე. მექვაბიშვილის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა

პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი, ასევე, საცდელი ლექცია. კომისიის მიერ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით:

- თეორიული ეკონომიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორი (1 საშტატო ერთეული);
- ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა – ასოცირებული პროფესორი (1 საშტატო ერთეული).

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა კომისიის წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1 განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნ. კაკულიამ, ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა ლ. კოზმანაშვილმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ლაზარაშვილმა.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი №5), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულების მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრთა ხელმოწერებით სხდომაზე. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი ყველა კომისიის წევრის მიერ დაილუქა და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ურთიერთშეაჯერა პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი, ასევე საცდელი ლექცია. საკონკურსო კომისიამ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შემდეგი კრიტერიუმებით: რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების კვალიფიკაცია და პედაგოგიური გამოცდილება ვაკანსიის პროფილს, რომელი სასწავლო კურსების წაკითხვა შეუძლია პრეტენდენტს, რამდენად შეესაბამება

სილაბუსების შინაარსი და ფორმა თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს, რამდენად აქტიურად ახორციელებს პრეტენდენტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს შეუწყობს, თუ არა პრეტენდენტი თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას, ხელს შეუწყობს თუ არა, პრეტენდენტი ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, ხელს შეუწყობს თუ არა თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას და სხვა ფაქტორები. ამასთანავე, პრეტენდენტების შეფასების მეორე ეტაპზე ჩატარდა გასაუბრება და საცდელი ლექცია. საკონკურსო კომისიას საშუალება მიეცა შეეფასებინა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა, რამდენად იქნა დაცული ლექციის რეგლამენტი და სხვა საკითხები, რაც საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

თეორიული ეკონომიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

1. ბედიანაშვილი გივი – მიღებული ხმების რაოდენობა 0;
2. ბერიძე ლამარა – მიღებული ხმების რაოდენობა 1;
3. გელიტაშვილი ნონა – მიღებული ხმების რაოდენობა 1;
4. ლეიაშვილი პაატა – მიღებული ხმების რაოდენობა 1;
5. სირბილაძე რუსუდანი – მიღებული ხმების რაოდენობა 1;

საარჩევნო ყუთიდან ამოღებული 1 (ერთი) ბიულეტენი (**თეორიული ეკონომიკის კათედრა**) არის ცარიელი. კომისიამ ხმების დათვლისას ცარიელი ბიულეტენი არ გაითვალისწინა.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

1. გრიგალაშვილი ლევანი – მიღებული ხმების რაოდენობა 2;
2. ვარდიაშვილი მარიამი – მიღებული ხმების რაოდენობა 2;

საარჩევნო ყუთიდან ამოღებული 1 (ერთი) ბიულეტენი **(ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა)** არის ცარიელი. კომისიამ ხმების დათვლისას ცარიელი ბიულეტენი არ გაითვალისწინა.

დაადგინეს: 1.1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, არცერთი მიმართულებით გამარჯვებული არ გამოვლინდა, ვინაიდან, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა.

1.2. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან შესაბამისობის შესახებ და დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციასთან შესაბამისობაში.

1.3. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

1.4. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე /პროფ. ე. მექვაბიშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოცირებული პროფესორი ნ. კაკულია/

კომისიის წევრები /ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ლ. კოზმანაშვილი/

/ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

თ. ლაზარაშვილი/

კომისიის მდივანი /ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/